ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის მერია
საკონკურსო კომისია

N 5053-01
21/05/2020

5053-01-3-202005211520

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანტურ პოზიციებზე კანდიდატთა შერჩევის მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 5 მაისის №818 ბრძანებით შეიქმნა საკონკურსო კომისია, მოხდა თავმჯდომარის დანიშვნა და დებულების დამტკიცება.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის 2020 წლის 5 მაისის N2 ბრძანებით განისაზღვრა კომისიის შემადგენლობა.

კომისიის საქმიანობის ორგანიზებისა და მუშაობის ეფექტურად წარმართვის მიზნით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის 2020 წლის 5 მაისის N3 ბრძანებით შემნილია კომისიის აპარატი.

მ/წლის 21 მაისს 15 საათზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობაში, რუსთაველის გამზირი №3-ში ჩატარდა საკონკურსო კომისიის პირველი სხდომა. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებთან ერთად, სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანტურ პოზიციებზე კანდიდატთა შერჩევის მიზნით გამოსაცხადებელი კონკურსის პროგრამის, პირობების, კანდიდატთა შეფასების ფორმისა და გრაფიკის განსაზღვრის შესახებ. კომისიამ დაადგინა:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანტურ პოზიციებზე კანდიდატთა შერჩევის მიზნით გამოსაცხადებელი კონკურსის მეორე ეტაპზე კონკურსში მონაწილე პირთა შეფასება მოხდეს ზეპირი დავალების მიცემისა და გასაუბრების გზით.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანტურ პოზიციებზე კანდიდატთა შერჩევის მიზნით ჩასატარებელი კონკურსის მეორე ეტაპის /შეფასება/ გრაფიკი შედგეს 2020 წლის 16 ივნისს 12 საათიდან, მეორე ეტაპზე გადასაულ პირთა რაოდენობის გათვალისწინებით.

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანტურ პოზიციებზე კანდიდატთა შერჩევის მიზნით ჩასატარებელი კონკურსის პროგრამა /თემატიკა/ განისაზღვროს "ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო

მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის 3 ელ-ფოსტა: Irakligiorgadze1982@mail.ru ტელ: 24-17-64 მობ: 595-11-44-53

მოხელეებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 07 აგვისტოს N2090 ბრძანებში მითითებული სამართლებრივი აქტებით.

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსანტთა მიერ, სავალდებულო წესით წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას დაემატოს კონკურეტულ ვაკანსიასთან დაკავშირებული რეკომენდაცია.

განვმარტავთ, რომ ამ ეტაპზე იგეგმება, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ 6 შტატით გათვალისწინებულ, მათ შორის 2 პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამსახურის ხელმძღვანელის, 2 პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის, ერთი მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების ხელმძღვანელის და ერთი პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ პოზიციაზე ღია კონკურსის გამოცხადება.

ირაკლი გიორგაძე

კომისიის თავმჯდომარე

ქ. ქუთაისიის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისია